ოქმი:**ო08. 3724073001**

თარიღი:**13/03/2024**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 23 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
12.30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, კანონით გათვალისწინებულ ვადაში საკრებულოში შენიშვნა არ შემოსულა, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ ეს საკითხიც იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, კანონით გათვალისწინებულ ვადაში საკრებულოში შენიშვნა არ შემოსულა, აღნიშნა, რომ არსებული ქონება წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთებს, რომელიც შეტანილია საპრივატიზებო ნუსხაში და შეფასებულია სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო მიერ, დადგენილია საწყისი საფასური, მერია გეგმავს უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი

პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით;

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი